საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/106
08/02/2024

ბრძანება

106-01-4-202402081629

სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფს“ (ს/ნ 405098399) და სს „არდი დაზღვევას“ (ს/ნ 404858631) შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების, 11^1 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლისა და სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს გადაწყვეტილება სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფს“ (ს/ნ 405098399) და სს „არდი დაზღვევას“ (ს/ნ 404858631) შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“ თანდართული სახით;

2. სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფს“ (ს/ნ 405098399) და სს „არდი დაზღვევას“ (ს/ნ 404858631) შორის განსახორციელებელი კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად;

3. გადაწყვეტილება გაეგზავნოთ შეტყობინების საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში წარმომდგენ ეკონომიკურ აგენტებს;

4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ანოტაციის ფორმით, სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ, პერსონალურ ან საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64);

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/108
09.02.2024

ბრძანება

108-01-4-202402091627

„სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფს“ (ს/ნ 405098399) და სს „არდი დაზღვევას“ (ს/ნ 404858631) შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“ საქართველოს კონკურენციის და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 8 თებერვლის №04/106 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, აგრეთვე, სააგენტოს სტრატეგული ბაზრების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 9 თებერვლის №03/155 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფს“ (ს/ნ 405098399) და სს „არდი დაზღვევას“ (ს/ნ 404858631) შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“ სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 8 თებერვლის №04/106 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „გადაწყვეტილება - სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფს“ (ს/ნ 405098399) და სს „არდი დაზღვევას“ (ს/ნ 404858631) შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“ ჩამოყალიბდეს ახალი თანდართული რედაქციით.
2. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

გადაწყვეტილება

სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფს“ (ს/ნ 405098399) და სს „არდი დაზღვევას“ (ს/ნ 404858631) შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I. ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში 2024 წლის 16 იანვარს N01/211 კორესპონდენციით შემოვიდა შეტყობინება ეკონომიკურ აგენტთა - სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფს“ (ს/ნ 405098399) და სს „არდი დაზღვევას“ (ს/ნ 404858631) შორის დაგეგმილი კონცენტრაციის თაობაზე.

შეტყობინება მოიცავდა დადგენილი ფორმით მოთხოვნილ ინფორმაციას კონცენტრაციის შესახებ:

- ზოგადი მონაცემები კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ;
- ზოგადი ინფორმაცია კონცენტრაციის შესახებ - ფორმა, მიზანი;
- ეკონომიკურ აგენტთა მახასიათებლები - კონცენტრაციის მხარეების წილის მფლობელები, დაკავშირებული კომპანიები, წლიური ბრუნვები 2022 წელს;
- კონცენტრაციის დეტალური აღწერა - შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა, უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნესგეგმები, კონცენტრაციის სავარაუდო შედეგები, ინფორმაცია კონცენტრაციის დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის შესახებ; კონცენტრაციის მოსალოდნელი შედეგების აღწერა; საკითხები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტაზე და რაზეც უნდა იქნეს სააგენტოს მიერ ყურადღება გამახვილებული.

შეტყობინებას თან ახლდა დანართები:

- სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ და მასთან დაკავშირებული პირების სტრუქტურის ამსახველი სქემა;
- სს „არდი დაზღვევის“ და მასთან დაკავშირებული პირების სტრუქტურის ამსახველი სქემა.

<u>ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ:</u>

- სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ (ს/ნ 405098399) 100% წილის მფლობელია სს „საქართველოს კაპიტალი“ (ს/ნ 404549690);
- სს „საქართველოს კაპიტალის“ (ს/ნ 404549690) 100%-იანი წილის მფლობელია Georgia Capital PLC (Registration No: 1085240);
- სს „არდი დაზღვევას“ (ს/ნ 404858631) 36%-იანი წილის მფლობელია შპს „გაზელ ფაინენს ჯორჯია“ (ს/ნ 404540001);
- სს „არდი დაზღვევას“ (ს/ნ 404858631) 35%-იანი წილის მფლობელია ფ/პ არმაზ თავაძე (პ/ნ [redacted]);
- სს „არდი დაზღვევას“ (ს/ნ 404858631) 20%-იანი წილის მფლობელია ფ/პ ზაზა ნიშნიანიძე (პ/ნ [redacted]);

- სს „არდი დაზღვევას“ (ს/ნ 404858631) 2.59067%-იანი წილის მფლობელია ფ/პ უილიამ თომას იპსენი ([redacted]);
- სს „არდი დაზღვევას“ (ს/ნ 404858631) 1.78031%-იანი წილის მფლობელია ფ/პ ეკა ერგემლიძე (პ/ნ [redacted]);
- სს „არდი დაზღვევას“ (ს/ნ 404858631) 1.78031%-იანი წილის მფლობელია ფ/პ ქართლოს ყორანაშვილი (პ/ნ [redacted]);
- სს „არდი დაზღვევას“ (ს/ნ 404858631) 1.78031%-იანი წილის მფლობელია ფ/პ მიხეილ ჯაფარიძე (პ/ნ [redacted]);
- სს „არდი დაზღვევას“ (ს/ნ 404858631) 1.06839%-იანი წილის მფლობელია ფ/პ ლაშა ლაფაჩი (პ/ნ [redacted]).

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L-ის“ (ს/ნ 204919008) 100%-იანი წილის მესაკუთრეა შპს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“;

სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ (ს/ნ 404476189) 100%-იანი წილის მფლობელია სს „ა გრუფი“;

სს „ა გრუფის“ (ს/ნ 405291795) 100%-იანი წილის მფლობელია სს „საქართველოს კაპიტალი“;

სს „სადაზღვევო კომპანია ტაოს“ (ს/ნ 202408386) 100%-იანი წილის მფლობელია სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“.

კონცენტრაციის მონაწილე ეკონომიკური აგენტების ურთიერთდამოკიდებული კომპანიებიდან, გაცხადებული კონცენტრაციის შესაბამის ბაზარზე ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“ (ს/ნ 204919008); სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“ (ს/ნ 404476189) და სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“ (ს/ნ 202408386).

შეტყობინებაში მითითებულია, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში არ მომხდარა წილის შესყიდვა მითითებულ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისაგან.

კონცენტრაციის ფორმა:

კონცენტრაციის ფორმა არის შეძენა - სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ მიერ (ს/ნ 405098399) სს „არდი დაზღვევის“ (ს/ნ 404858631) სადაზღვევო პორტფელის 100%-იანი წილის (მათ შორის სადაზღვევო პორტფელთან დაკავშირებული აქტივები, სასაქონლო ნიშნები - ბრენდი) შეძენა. გარიგების ნაწილს არ წარმოადგენს გამსხვისებლის საკუთრებაში არსებული ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის (გარანტიების) პორტფელი და სავალდებულო დაზღვევის სახეობებში, კერძოდ, უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ავტომფლობელთა სავალდებულო დაზღვევის სახეობაში, მონაწილეობის შესანარჩუნებლად აუცილებელი (მინიმალური) ავტოდაზღვევის პოლისები.

კონცენტრაციის მიზანი და გეგმა:

მხარეთა პოზიციით, კონცენტრაციის მიზანია პანდემიის შემდგომ არსებული ფინანსური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, სინერგია, ხარჯების ოპტიმიზაცია მასშტაბის ეფექტის ხარჯზე, რაც საშუალებას მისცემს ორივე სადაზღვევო კომპანიას გააგრძელოს მუშაობა უფრო ეფექტიანად, მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებით და ბაზარს შესთავაზოს უფრო კონკურენტუნარიანი სადაზღვევო პროდუქცია.

როგორც შეტყობინებაშია მითითებული, სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ მიერ სს „არდი დაზღვევის“ პორტფელისა და ბრენდის შეძენის შემდგომაც, სს „არდი დაზღვევა“ გააგრძელებს კონცენტრაციამდე არსებული ყველა სადაზღვევო პროდუქტის რეალიზაციას, გარდა ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობებისა. მომხმარებლისთვის მომსახურების მიწოდებას გააგრძელებს იგივე თანამშრომლებისა და პროცესების მეშვეობით, როგორც აქამდე ახორციელებდა. კომპანია ეცდება კვლავ ფოკუსირდეს და უფრო მეტად გააციფრულოს/გაამარტივოს მომხმარებლისთვის შეთავაზებული სერვისი და კიდევ უფრო მეტად ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი გახადოს მომხმარებლისათვის დადებითი სადაზღვევო გამოცდილების მიღება. მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომებითა და გამოცდილების შეთავაზებით, კომპანია გეგმავს გაზარდოს საკუთარო პორტფელის ოდენობა მომდევნო ორი წლის განმავლობაში და ახალი ინვესტორის დახმარებით გახდეს მდგრადი და წარმატებული კომპანია, რომელიც შეძლებს კიდევ უფრო მეტ მომხმარებელს შეუქმნას დადებითი სადაზღვევო გამოცდილება.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი არდის ოპერირებისთვის საჭირო ფინანსურ კაპიტალს სრულად დააინვესტირებს ახალ კომპანიაში. შედეგად ახალი კომპანია შეძლებს შეუფერხებლად განაგრძოს ოპერირება. საწყის ეტაპზე დაგეგმილი ინვესტიცია კომპანიაში შეადგენს [redacted] ლარს, რაც [redacted].

კონცენტრაციის შედეგად კომპანიას შეეძლება ბაზარს შესთავაზოს უფრო კონკურენტუნარიანი სადაზღვევო პროდუქტები, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება საბოლოო მომხმარებელზე.

შეტყობინებაში ასევე მოცემულია სამი საკითხი, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს სააგენტოს მხრიდან საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე:

- კონცენტრაციის შედეგად არცერთი სადაზღვევო ბრენდი არ გადის ბაზრიდან, არდი აგრძელებს ოპერირებას თავისი ბრენდით, ისევე როგორც იმედი L;
- დღეის მდგომარეობით სს „არდი დაზღვევა“ [redacted] ტრანზაქციის შემდგომ და ქართულ სადაზღვევო ბაზარს მეტ ფინანსურ მდგრადობას შესძენს;
- შესყიდვის ოპერაცია მოიცავს სს „არდი დაზღვევის“ ადმინისტრაციული სტაფის ტრანსფერს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს კომპანიის ოპერაციების წყვეტის გარეშე გაგრძელება.

ამასთან, მხარეებს კონცენტრაციის შესაძლო უარყოფითი ზეგავლების მოლოდინი არ აქვთ.

მხარეები ადასტურებენ, რომ შეტყობინებაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და მათთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები.

II. სამართლებრივი მიმოხილვა

სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური

და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „სსიპ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით და სხვა.

სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და 11[1] მუხლების მოთხოვნებს.

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულია კონცენტრაციის ლეგალური დეფინიცია, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება ის უფლებები, რომელიც გამოიყენება კონცენტრაციის მიზნებისთვის კონტროლის განსახორციელებლად;
2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მისი კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ხოლო ამავე კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს ეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ აღემატება სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის წინა ფინანსური წლის ერთობლივი შემოსავლის 5%-ს. ჯარიმის დაკისრება შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსთვის შეტყობინების წარმოდგენისგან. ჯარიმის დაკისრების პარალელურად, შეტყობინების წარმოდგენის ვადას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სააგენტო და იგი არ შეიძლება იყოს 14 კალენდარულ დღეზე ნაკლები. სააგენტო განიხილავს კანონმდებლობის გვერდის ავლით განხორციელებულ კონცენტრაციას და იმ შემთხვევაში თუ ის მიიჩნევა დაუშვებლად, ჯარიმის დაკისრების პარალელურად მიმართავს სასამართლოს კონცენტრაციის გაუქმების და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით;
3. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი დარღვევით გამოწვეული ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე. თავის მხრივ, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 2 დეკემბრის N04/158 ბრძანებით დამტკიცებული „ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო მოქმედებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნის დასაცავად და ითვალისწინებს მხარეთა ინტერესებს. კერძოდ, უზრუნველყოფს, რომ მის მიერ გამოყენებული ჯარიმა იყოს სამართლიანი, პროპორციული და პრევენციული ხასიათის. ჯარიმის დაკისრების დროს, გასათვალისწინებელია, ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით, პირი მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით, თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასაცილებლად, ან პირველად ჩაიდინა თუ არა მან მსგავსი ქმედება და სხვა. ჯარიმის განსაზღვრის დამატებითი კრიტერიუმები ასევე მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსშიც. ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის გამოთვლის დროს, მხედველობაში მიიღება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის ეკონომიკური მდგომარეობა;

4. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის მიხედვით, სააგენტოსათვის შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე პირების ერთობლივი (ჯამური) წლიური შემოსავალი საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და, ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს;
5. სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით - შეძენის, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით კონტროლის მოპოვების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება შემძენ ან/და კონტროლის უფლების მომპოვებელ პირ(ებ)ს;
6. კანონის 11^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვისთვის დაწესებული საფასური შეადგენს 5 000 ლარს;
7. კანონის 11^1 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა კანონის რეგულირების სფეროში, სააგენტო კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვას იწყებს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ და ამ დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღისა, ვალდებულია განიხილოს და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

   ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ;

   ბ) კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლებელია დაგეგმილი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადი არ იყოს ან თუ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი საკითხის დამატებით შესწავლა. სააგენტოს მიერ აღნიშნულ ვადაში ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიუღებლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;
8. კანონის 11^1 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინება განიხილოს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა. ამ ვადაში სააგენტოს მიერ აღნიშნულ შეტყობინებაზე პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;
9. იმ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის რეგისტრაციისთვის, რომლებსაც ეკისრებათ ამ კანონის 11^1 მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია, არსებობდეს სააგენტოს გადაწყვეტილება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის შესახებ. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია;
10. კანონის 11^1 მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვამდე ან სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია. სააგენტოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია;

11. კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან. ხოლო, კონცენტრაცია, რომელიც ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას - არ არის თავსებადი;
12. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტებით განისაზღვრება დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების საკითხები. აღნიშნული აქტები მოიცავს, როგორც სასაქონლო ბაზრის, ასევე დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების პრინციპებს, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს;
13. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის“.

III. ბაზრის ანალიზი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე” სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები

ა) პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით, სააგენტო კონცენტრაციის შესაბამის პროდუქციულ ბაზრად გასნსაზღვრავს სადაზღვევო ბაზარს, კონკრეტული სადაზღვევო პროდუქტების დონეზე.

ბ) გეოგრაფიული საზღვრები

პროდუქციის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, გეოგრაფიულ საზღვრად განისაზღვრა ეროვნული დონე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კონცენტრაციის მხარეები საქმიანობენ საქართველოს მასშტაბით.

გ) დროითი ჩარჩო

პროდუქციის მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით, შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების საბაზრო წილის გამოთვლა:

ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება №37-ის მე-18 მუხლის მიხედვით, სადაზღვევო მომსახურების ბაზრის მოცულობა განისაზღვრება შესაბამის ბაზარზე მოქმედი ყველა სადაზღვევო კომპანიის სადაზღვევო შენატანების (სადაზღვევო პრემიების) ჯამით. სადაზღვევო მომსახურების ბაზარზე სადაზღვევო კომპანიის წილის ოდენობა განისაზღვრება სადაზღვევო შენატანების (სადაზღვევო პრემიების) სიდიდის შეფარდებით ბაზრის მოცულობასთან.

ბაზრის მოცულობის, მოქმედი ეკონომიკური აგენტების და საბაზრო წილების გამოთვლის მიზნით, ინფორმაციის გამოთხოვა განხორციელდა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხდველობის სამსახურიდან.[1] მიღებული ინფორმაციის მიხედვით,[2] 2023 წელს (11 თვის მონაცემი) სს „არდი დაზღვევის“ მიერ მოხდა 83 744 974 ლარის პრემიის მოზიდვა. პრემიის 81.3%-ს შეადგენს სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევის რეალიზაციის შედეგად მოზიდული პრემია, 9.2%-ს სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა), ხოლო 9.5% ნაწილდება 11 სხვადასხვა სადაზღვევო პროდუქტზე. შესაბამისად, სააგენტო მიზანშეწინილად მიიჩნევს ყურადღება გამახვილდეს სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევის და სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის (ავტოდაზღვევა) პროდუქტებზე.

სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა - 2023 წელი (11 თვე):

- ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - **16**;
- საერთო ჯამში მოზიდული პრემია - **402 545 318 ლარი**;
- სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევის წილი საერთო ჯამში მოზიდული პრემიის (944 399 252 ლარი) მოცულობაში - **42.6%**;
- არდის სადაზღვევო პორტფელში სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევის წილი - **81.3%**;
- არდის საბაზრო წილი სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევის ბაზარზე - **16.9%**;
- იმედი ელ-ის და ალდაგის ერთობლივი წილი სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევის ბაზარზე - **18.7%**;
- ბაზრის კონცენტრაციის - HHI ინდექსი - **1453**;
- საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფთან დაკავშირებული სადაზღვევო კომპანიების ერთობლივი საბაზრო წილი კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ - **35.6%**;
- ბაზრის კონცენტრაციის (HHI) ინდექსი კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ - **2090**.

ავტოდაზღვევა - 2023 წელი (11 თვე):

- ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - **17**;
- საერთო ჯამში მოზიდული პრემია - **176 329 001 ლარი**;

[1] სააგენტოს 2024 წლის 25 იანვრის N03/70 წერილი.

[2] საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2024 წლის 31 იანვრის N86 წერილი (რეგ. N01/607, 31 იანვარი).

- ავტოდაზღვევის წილი საერთო ჯამში მოზიდული პრემიის (944 399 252 ლარი) მოცულობაში - **18.7%**;
- არდის სადაზღვევო პორტფელში ავტოდაზღვევის წილი - **9.2%**;
- არდის საბაზრო წილი ავტოდაზღვევის ბაზარზე - **4.4%**;
- ალდაგის წილი ავტოდაზღვევის ბაზარზე - **23.7%**;
- ბაზრის კონცენტრაციის - HHI ინდექსი - **1546**;
- ალდაგის და არდის ერთობლივი საბაზრო წილი კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ - **28.1%**;
- ბაზრის კონცენტრაციის (HHI) ინდექსი კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ - **1753**.

კონცენტრაციების კონტროლის მიზანს წარმოადგენს პირთა ისეთი კონცენტრაციის დაუშვებლობა, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას შესაბამის ბაზარზე. შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, მიიღება გადაწყვეტილება დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ. შესაბამის ბაზარზე, დაგეგმილი კონცენტრაციის შედეგად, კონკურენციის არსებითი შეზღუდვა კავშირშია ამ ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის შექმნასთან ან მის გაძლიერებასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თავის მხრივ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი არ ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი წილი 40 პროცენტს არ აღემატება.

განსახილველ შემთხვევაში, კონცნეტრაციის განხორციელების შემთხვევაში, ავტოდაზღვევის ბაზარზე ალდაგის და არდის ერთობლივი წილი შეადგენს 28.1%-ს და შესაბამისად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს დომინანტური მდგომარეობის შექმნას ან მის გაძლირებას. რაც შეეხება სამედიცინო (ჯანრმთელობის) დაზღვევის ბაზარს, კონცენტრაციის განხორციელების შედეგად საბაზრო წილი შეადგენს 35.6%-ს. მართალია ამ შემთხვევაშიც არ აქვს ადგილი დომინანტური მდგომარეობის შექმნას ან მის გაძლიერებას, თუმცა საბაზრო წილი მაღალია და შესაბამისად, მსგავს შემთხვევებში სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს გაანალიზდეს ბაზრის სტრუქტურა/სპეციფიკა, რათა გამოირიცხოს კონკურენციის შესაძლო (არსებითი) შეზღუდვა შესაბამის ბაზარზე. ამ კუთხით მნიშვნელობანია რამდენიმე გარემოება:

1. ბაზარზე მომსახურების მიწოდებას ახორციელებს 15 სადაზღვევო კომპანია;
2. კონცენტრაციის განხორცილების შემდეგ, ბაზრის კონცენტრაციის - HHI ინდექსი ზომიერად კონცენტრირებული ბაზრის საზღვრებში რჩება;
3. ბაზარზე მოქმედი კომპანიები მომხმარებელს სთავაზობენ პროდუქციის შეძენის სხვადასხვა არხებს - მათ შორის დისტანციურად/ონლაინ შეძენას;
4. ბაზრის გამჭვირვალობა იძლევა შესაძლებლობას მომხმარებელმა მარტივად შეადაროს ერთი კომპანიის სადაზღვევო პროდუქტი სხვა კომპანიების სადაზღვევო პროდუქტებს და შესაბამისად, ბაზარზე მაღალია მომხმარებლის კონკურენტული წნეხი;
5. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ, ბაზრის რეგულირების ფარგლებში, ყოველკვარტალურად და ყოველწლიურად ხდება ფინანსური მაჩვენებლების გასაჯაროვება, რაც შესაძლებელს ხდის ბაზარზე დაკვირვებას, მის მონიტორინგს - მათ შორის სააგენტოს მიერ.

ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანების 21-ე მუხლი განსაზღვრავს ჰორიზონტალური კონცენტრაციის შეფასების კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც, თუ კონცენტრაციის შედეგად ეკონომიკურ აგენტთა ერთობლივი საბაზრო წილი აღემატება 25%-ს, სააგენტომ ყურადღება უნდა გაამახვილოს 7 კრიტერიუმზე, რომელთა არსებობის პირობებში, ითვლება, რომ კონცენტრაციამ შესაძლოა არსებითად შეზღუდოს ეფექტიანი კონკურენცია ბაზარზე. კერძოდ:

ა) კონცენტრაციაში მონაწილეობს პოტენციური კონკურენტი ან ბაზრის მცირე წილის მქონე ეკონომიკური აგენტი, რომელიც კონცენტრაციამდე ცოტა ხნით ადრე შემოვიდა ბაზარზე;

ბ) კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა ინოვაციური პოტენციალი კონცენტრაციის მომენტისათვის მოცემული ბაზრის სტრუქტურაში ასახული არ არის;
გ) სახეზეა ბაზრის მონაწილე სუბიექტებს შორის ჯვარედინი თანამონაწილეობა, რაც გულისხმობს ერთმანეთის წილების ფლობას და ხელმძღვანელი პირების მიმოცვლას;

დ) კონცენტრაციაში მონაწილე ერთ-ერთი ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი მინიმუმ 50%-ია;

ე) სახეზეა ბაზრის მონაწილეთა შორის წარსულში არსებული არაერთჯერადი ხასიათის შეთანხმებული მოქმედებების ან სხვა ურთიერთხელშეწყობის ნიშნები;

ვ) კონცენტრაციაში მონაწილეობს ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს რეალური შესაძლებლობა, არსებითად შეცვალოს ბაზრის არსებული სტრუქტურა;

ზ) სხვა ისეთი მოცემულობა ბაზარზე, რომლის არსებობა, მიუხედავად საბაზრო სტრუქტურისა და ეკონომიკურ აგენტთა წილების მაჩვენებლებისა, იმაზე, რომ კონცენტრაცია შეიძლება იწვევდეს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას.

განსახილველ შემთხვევაში, პირველ 6 პუნქტთან დაკავშირებით (ა-ვ), სააგენტო აღნიშნავს, რომ ადგილი არ აქვს მითითებულ გარემოებებს და შესაბამისად, ბაზარზე ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზთუდვას. ასევე, სააგენტოსთვის არ არის ცნობილი „ზ“ პუნქტით განსაზღვრული სხვა ისეთი გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს ბაზარზე ეფექტიანი კონკურენციის არსებითი შეზღუდვა. მეტიც, როგორც უკვე აღინიშნა, ბაზრის სტრუქტურა/სპეციფიკა - მათ შორის მოქმედი კომპანიების რაოდენობა, პროდუქციის მომხმარებლამდე მიტანის სხვადასხვა გზები, მომხმარებლიდან მომდინარე კონკურენტული წნეხი და ბაზრის გამჭვირვალობა, განსახილველ შეთხვევაში გამორიცხავს ბაზარზე ეფექტიანი კონკურენციის არსებითი შეზღუდვის შესაძლებლობას. შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ დაგეგმილი კონცენტრაცია არ იწვევს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას შესაბამის ბაზარზე, ბაზრის წილის და მისი სტრუქტურის/სპეციფიკის გათვალისწინებით.

IV. სააგენტოს შეფასება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ დაადგინა, რომ სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფს“ (ს/ნ 405098399) და სს „არდი დაზღვევას“ (ს/ნ 404858631) შორის განსახორციელებელი კონცენტრაცია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.